ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №8
2016 წლის 15 თებერვალი

ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 11 ნოემბრის №56 დადგენილებაში „ხაშურის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის (ადმინისტრაციული დაპირება), ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის და საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 11 ნოემბრის №56 დადგენილებაში „ხაშურის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის (ადმინისტრაციული დაპირება), ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge, 16/11/2015, 010250050.35.143.016365) შეტანილ იქნeს ცვლილება, დადგენილების 1-ლი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი თანდართული ოქმის (ადმინისტრაციული დაპირება) ფორმა (დანართი №1)“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ხაშურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — ვაჟა შუბითიძე